


# ს ვ ა ლ ი



სალიბრატურო და სამეცნიერო ნახატებიანი ზახეთი. ზაგორდის ჟოზელ კვირა დღეს.

№ 11.

მარტი 6, 1894 წ.

№ 11.

შინაარსი: ჩემი თავ-გადასავალი აკაცსა — საყურადღებო ამავე, — წიგნების გავრცელების საქმე ჩვენში (დასასრული) — ჰეცრებ ვლ. ძისა. — შუგნი, ლექსი აკაცსა. — წმინდა მეფე არჩილ გ. წერეთლისა. — ბილოგრაფია. — დარალგეზის მთა XX. — მოლაშქრე, ლექსი ზეზვასი. — ინდოეთში ვეფხე ნადირობა ე — ლისა. — ცასო (მოთხრობა) დეტუ მგერელისა. — კრიტიკა (ხელო) ხომლელისა. — განცხადება.

## ჩემი თავ-გადასავალი

**წ**აწერეთლოში, ზემო იმერეთში, ბევრი კარგი სოფელია და მათ რიცხვში ურევია საფანეც, ის სოფელი, სადაც ჩემი ძიძა ცხოვრებდა და მე ეიზრებოდი. როგორც სათვალდათვალოთ, ისე ჰაერის სიკეთითაც ის საუცხოო რამ არის და მიტომაც დაურქვევით „საეანე“ ე. ი. მოსასვენებელი ადგილი. საჩხერეზე შორს არ არის; ჩემი სახლიდან ნახევარი საათის სასიარულო თუ იქნება. აქ ავიდგი მე ფეხი, აქ ამოვიდგი ენა და აქედანვე იწყება ჩემი ნახსოვრობაც. თვალწინ მიდგია ისლით გადახურული ხის სახლი წინა და უკანა კარებით, უფანჯრო-უსარკმელო; მხოლოდ ორი საკვამლურით, ანუ საფაფურით, საიდანაც კეპილი გადიოდა და სამაგიეროთ სინათლე შემოდებოდა. შუაქერაზე, მხარეთმოზე წამოწოლილი დევიით, იდგა დიდი უძარ-მამარი ჯირკვი და გაუსნეტლად ზამთარ-ზაფხულ ცეცხლი გუზგუზებდა. — გლების ოჯახი დიდიან სალამომდე სულ მოძრაობაშია, საქმე არ გამოელევათ და ამიტომაც ბავშვების გრძობა-გონება

სუსიველეთის გართულია. კაცები დილითვე ადრე მიდიან სამუშაოდ ყანებში, თუ ტყეში: სადილი და სამხარცი იქ მიუღიან და დაღამებამდე ძვირათ ბრუნდებიან სახლში; ქალები კი საოჯახო საქმეზე ტრიალობენ. მათ ხელშია საქონლის მოვლა, ფრინელების პატრონობა, ოთახის დაცვა-დასუფთავება, სადილ-ვახშმის მზადება და მრავალი სხვა საწერილმანო რამეები.. ბავში რომ თვალ-ყურს ადევნებს იმათ მუშაობას, თვითონაც ძალა-უნებურად მონაწილე ხდება და სწელობს. ხუთი-ექვსი წლასამე ძალიან კარგათ ეიცოდი, თუ როგორ უნდა პირტუცეს ყურისგდებ, ფრინელის მოვლა, სადილ-ვახშმის მზადება, გაცრა-გამტკიცე, გამოცობა, სხვა-და-სხვა გეარ შეჭამადის მომზადება და სხვანი. შეწველილი მქონდა, თუ როდის და როგორ უნდაღა: ხეათესეა, თახნა, მკა, სხვა და სხვანი, ასე რომ ჩემი შესაფერი ხელ-საწყო რომ მქონდა, ყველაფერს მოეახერხებდი; არ ეიცოდი მხოლოდ წინდა-პაიჭის ქსოვა და კერვა და ისიც მიტომ, რომ ამბობდენ: „ქალის ხელსაქმარი კაცისთვის დიდი ცოდვა არისო“ და მეც მეყერა. მჯერადა, მაგრამ ჩემით მიინც ვეცტებ ცოდვა და ეისწავლე მატყლის ჩეჩვა და ბან-

ბის პენტეა. აი, როგორ მოხდა ეს: მე და ჩემი ძიძის შვილი, რომელიც ჩემთან ჰუტუ-შენაწოვარი და ჩემი კბილა იყო, არასოდეს არ მშორდებოდა, სულ ჩემთან იყო. ერთხელ ავღრიანი დღე იყო და ქალებმა რომ ყანაში მუშებს სამზარის წაუღეს, ჩვენ შინ დავტოვეს, თან აღარ წაგვიყვანეს. გვეწყინა, მაგრამ რაღას ვიზამდით? დაერჩით მარტო, — მოგვეწყინა. ჯერ დანასობია ვითამაშეთ, მერე კენჭობია, მაგრამ მაინც ვერ გავერთეთ, რადგანაც ამ გვარი სათამაშოები მოწყენილი და მობეზრებული გეკონდა. ძიძის შვილმა მითხრა: „მოდე, ერთი, ბაბუსა წვერები დავუჩნებოთ!“ ჩამოიღო საჩენელი, მოატანა მატყლი და დაუწყო ჩეჩვა, თანაც ასე იძახდა: „ასე დაეჩნოს ბაბუსა წვერებო“. ეს ძალიან მომეწონა და მეც მივბაძე. — დიდხანს ვერ ეახერხებდი ჩეჩვას იორჯელ-სამჯელ საჩენელის ჩხირები შეხსულიცა, მაგრამ მაინც თავი არ დამინებებია. ეინ იყო ის ბაბუსა? ან რას ვერჩოდით? ეს წარმოდგენილი არცერთის არ გვექონდა, მაგრამ ძალიან აღტაცებაში მოვყავდით ამ ბაბუსა წვერების ჩეჩვას, ასე რომ თითქმის დავიქანცეთ.. ბოლოს ისევე ძიძის შვილმა თქვა: „კმარა ამდენი ჩეჩვა, ახლა გავპენტოთ და ქარს გავატანოთ ბაბუსა წვერებო“. ჩამოიღო ღარი, მოატანა ბანა და დაუწყო პენტეა — თან პენტეა და თანაც ღარის ბაგ-ბუგის ხმაზე ბუქნას უდიოდა. — მეც, რასაკვირველია, გავიმოგურე მისი ნაძიღერალი და ისე შეგვიყვარდა ეს „ბაბუსა წვერის“ თამაში, რომ შემდგომი, როგორც კი გავიფიქრებდით სადმე ქალებს, სულ ამას ვთამაშობდით და ისე კარკადაც კი შევისწავლეთ საჩენელის და ღარის ხელი, რომ ქალებიც ვეღარა გეჯობნიდენ. ძალიან ვფრთხილობდით, რაც კი შეგეძლოა, მაგრამ ერთხელ მოგვასწრეს ქალებმა და ჩემმა ძიძამაც ჩამოიკაწრა ლოყები: „უიმი! რა გიქნათ ვე შეილებო? ეგ ხომ დიდი ცრუდა არის?.. ქალების ხელსაქნარი რა თქვენი საქმეაო? და მერე ბატონებმაც თუ გაიცეს, სასახლეში, რას იტყვიანო?“ იმ დღიდან გვიმალავდენ ღარსაც და საჩენელსაც, მაგრამ გვიან-ღა იყო. ყმაწვილის გრძნობა-გონება მოუსვენარია, ყოველ წუთს მოძრაობაშია, მაგრამ ფეხ-მოუკიდებელი კი არის: დიდხანს ერთსა და იმავე საფას ვერ შერჩება. ერთ-გვარობა და ერთგვარობა მკვეთრ მებრუნდება და საგრიდან სავანზე გადადის: ამიტომ ოთანში ყოფნა ეშარება, რადგანაც რაც კი ოთანში რამ არის, ყველაფერი ნაცნობია მისი, თვალი შეჩვეული აქვს, და ვეღარ ართობს მის გრძნობა-გონებას. ის გარბის მინდვრად ცა და მიწას შუა, სადაც სანახაობა მრავალ-ფერი და უთვალავია მისთვის. შინ დაჩრქნა ჩემთვისაცა, რასაკვირველია დასჯა იყო, მიჯნარა ხოლმე ყანებში სიარული, სადაც მუშები იმღეროდენ, მაგრამ დიდ-

ხნობით ვერც იქ ვჩრებოდი, რადგანაც მე თითქმის ყურადღებას არავინ მაქცევდა, თავის საქმეზე იდგნენ არ იცის, რომ ყმაწვილის ბუნება თანახარია, ყოველითვის სურს, რომ თვისი გულისხმასხე სხეებსაც გადასცეს, შეატყობინოს ხოლმე და ეს მხოლოდ შეუძლია თვის ტალ-ამხანაგებთან. ხშირად როდესაც ყმაწვილი, ეღარა ჰქედას ტალ-ამხანაგს, უსულო საგნებს ესაუბრება ხოლმე... ქვას, ხეს, ყვავილს, ბაღას და სხ... პირუტყვებთან ხომ რაღა?! — ისე სიამოვნებით მუთსივობს ხოლმე, რომ მცირე აღარ შეიძლება!.. მხოლოდ დიდებთან ვერ ახერხებენ ყმაწვილები სიტყვა-პასუხს და გულს არ უხსნიან მათ!.. და ეს კი თვით უფროსების მედიდურობისა და აუყოლოკობის ბაღია.. ცხადია რომ მეც ამიტომ ვერ ვჩრებოდი დიდხანს ყანაში მუშებთან. — მაგეჩად სამწყესურში წასვლა, მინდვრად და ტყეში. ჩემთვის სამოთხეში შესვლა იყო და იქ დარჩენა. — გათენდებოდა თუ არა, უქულო, ფეხშიშველა გვებოდი მწყესებისაკენ და დაღამებამდე იქა ვჩრებოდი. — ყმაწვილი, რომელიც კი ოველში არ გაზდილა, ბუნებაზე სრულიად მოსხლტეილია. ის არის მოკლებული უპირველეს ბენდიერებას. ქალაქში გზდილი ბაეშს, გენოისც რომ იყოს მისი მასწავლებელი, სიტყვით და ნახატებით ისე ვერ გააცნობს ბუნებას, როგორც სოფელში იცნობს თავის საყოთარი ნახულობით. სოფელს, თვალწინ უდგას ყოველთვის ბუნება, მისი სხვა-და-სხვა ფერობით გაცნობილი ჰყავს ყოველ გვარი ოთხფეხი, ფრინველი, ქვემპრომი, მწერი, მცენარე და. სხეანი... იცის მათი ზნე და ჩეულებსა.. ყველა მის თვალწინ იბადება, იზრდება, იშობება, იფურჩქნება, აჰყავდება, მოაქვს ნაყოფი და კვდება, — ყველა ამთვანის ჭირისა და ლხინის თანამოზიარება და ამიტომაც ვთვლიანება მათ. რომეც მხატვრობას შეუძლია გადასცეს ბაეშს ის, რასაც სოფელში მყოფი თავის თვალით ჰქედას? ავიღოთ, თუ გინდა სულ უკანასკნელი: აი, მოდის, მოღრუჭუნობს დედა-ღარი და მას ცქრიალით უკან მისდევენ პატარა-პატარა ჭკვილა გოჭები. ძუძუს ენეწებიან... დედა მიდის ჩრდილში სადმე და წამოგორდება მზარ-თემოს; მისციელებიან შვილები და მივამზრებიან ძუძუებს; სიამაგნების ნიშნად აქიციანებენ პატარა გადაპრხილი კულებს და დედაც თვალ-დახუტული დახვარის, დაღრუჭუნებს მათ... ავერ კჩა-ეები კუნტრუშობენ: თიკნები დახტიან... გოჭები ქიდაობენ, კვიციბი კოტრიალობენ და სხეანი — სულ მრავალ ფერობა და სხვა-და-სხვა სანახაობა... უყურობს ბაეში და თვითონაც გულ-შექნილი, ხტის და თანამოზისა.. ამაგებს ყველას მოკლებულია ქალაქელი, „გინასტიკაო“ მეტყვიით!.. მაგრამ გინასტიკა მხოლოდ ტანჯვას ბაეშის და სხეულის ჯორჯვას. სხვა-



და-სხვა ნაწერებს აღმიანის გემისას განა ერთი და იგივე მოთხოვნილება აქვს? მე ვგება მარტო ფეხი მინდა ვეფარჯიშო და იმ დროს ხელი შევასვენო. ყველაფერს თავისი დრო აქვს და ამ დროს თერთან ბუნება უფრო უტყუარად უჩვენებს.—და გიმინასტიკის დროს კი წინააღმდეგ ჩემის მოთხოვნილებისა უნდა მხოლოდ სხვისი ბძანებით ვიმოძრაო. მაგალითად მე როცა სირბილი მინდა, ის გამაჩერებს ერთ ადგილზე, მოამცემს ხელში მძიმე რკინებს და გინდა თუ არა, ხელები ავარჯიშეო... ხელოვნების შეუძლია, რომ დამიორჩილოს, ე. ი. დამიხიზნოს ბუნება, მაგრამ რომ შევცდომოს და თავის სურვილით, ვითომ გააუტყუოს, არა მჯერა. აბა, წარმოიდგინეთ ერთი მხრით თავისუფალი შევლივით მონავარდ სოფელი ბევში და მეორე მხრით დანაწურებულ ქალაქელი ყმაწვილი!.. ფეხსაცმელი უჭერს და მახოლები სტანჯავს... გამოსუდრულა ტანსაცმელში, საძაოაბა აღარა აქვს—ეუბნებიან ჭკვიანი იყავი! რაც ჩვენ გორჩიოთ, მხოლოდ ის იკისრე შენცა!.. იმ საბარბოს ერთი გაკატრიალება ქვეყანას ურჩენია, მაგრამ განა გაბედავს, რომ ტანისამოსი დასვაროს?.. იზრდება, ბძანებთ, მომავალი ქლექი და მუშია.

ქართველებისოდენი სხვა-და-სხვა გვარი სათამაშო, თითქმის არცერთს ხალხს არა აქვს და ყოველგვარი სათამაშოც, უთუოდ, მისთანაა, რომელიც ჭკუა-გონებას და სხეულს წრთენის, ავარჯიშებს. ყველას არ ჩამოეთილო აქ, რადგანაც შემდეგში კიდევ მექნება მათზე მსჯელობა განსაკუთრებით და დავასახელებ მხოლოდ „ბურთაობას“; აბა, რომელი გიმინასტიკა შეედრება მას?.. ბურთაობის დროს თვლი, ფეხი, ხელი, თავი, ტანი და ყოლიფერი თანასწორად ეჩვევა სიმარდეს.—ქართულ სათამაშოებს ბევრში თავის ხელით აკეთებენ, მაგალითად ტაფაჭიკი თვითონ გამოჭრიან ხოლმე, შეილდ-კადალს—იკეთებენ... ბურთის თავის ხელით იმზადებენ და ეს შრომა კიდევ უფრო აყვარებს პატარა პატრონს თავის საკუთრებას!.. ნაყიდი სათამაშოები და მუქთად მზოვნი ტიკონები ქალაქებში, მუქთა-ხორბას აწევენ ყმაწვილებს და უფრო უფუტყებენ ხასიათს. ეს მე ჩემ თავზე გამომიცდია!—სხვისი ვაკეთებული და ნაყიდი სათამაშოები, არაფრად არ მიმაჩნდა და ჩემსას კი მუფრთხილდებოდი ხოლმე.—პატარაებს უყვართ ღიღბის მიზაბა და მეც რომ ხუხულას საზლებსა და გელელ-სასიმინდ—წისკილებს ავაშენებდი ხოლმე, მესმის სიამოვნებას საზღვარი აღარ ჰქონდა.—თავი მოქონდა, რომ მე თვითონ ვაკეთებდი.—აბა წარმოიდგინეთ სოფელი ბევში, რომელსაც თვის ხელით ვაკეთებელი ბურთი ხელში უჭირავს და თავისუფლად ვაკურავს-ვაშორავს ხოლმე ბუნებითა და სირბილით და შეუდარეთ ქალაქელს!.. იმ საცოდად უჭირავს ხელში ძველი გამობმული ბურთის ბურთი და შიშით გელარ იმძრევა, არ გამიფრინდესო... რომ სიტყვა აღარ ვავაგრძელო, მოკლეთ ეიტყვი, რომ სოფელში ვაზრდილ და ქალაქში მყოფ ბევრებს შუა ისეთი განსხვავებაა, როგორც ნაძვლისა და მის აჩრდილ შუა.—ეს უბედურება ბედმა თავიდან ამაკლნა მე და ექსის-შვიდის წლის, ნაძვლი ბუნების შეილი ვიყავი: ტან-მრთელი, მახოზე, კეთილი, ყველას მოსიყვარული და თავისუფალი, როგორც სამოთხის შეილი. დიად. სანამდი სოფელში ვიზრდებოდი სრულიად ბედნიერიც ვიყავი, თუმცა ხანდახან კვირაში ერთხელ თუ ორჯელ ჩემს ბედნიერებას შეაფარხებდენ ხოლმე სასახლიდან, ჩემ სანახავად გამოსულები.

„დღეს ბატონები გამობძანდებიანო!“ იტყუდა ხოლმე ჩემი ძიძა. ვამწმინდა, გამბანდა, მომრთავდა თითქოს სადღესასწაულად და აღარ გამიშვებდა გარეთ. მართლაც იმ დღეს გამოვიდოდენ ჩემ სანახავად დედ-მამა დიდის ანბითა და ამალით, ისე როგორც კი შემწვერდა ბატონ-ყმობის დროს და მივლი სოფელი ცქერათ ვადაიცკოდა ხოლმე. იმათი გამოსვლა ჩემთვის მხოლოდ სასიერო და სათამაშო იყო. ვიცოდა, რომ ისინი, ბატონები იყვენ, მე მათი შეილი ვიყავი, როგორც ისინი, ისე მათი მხლებლები მოწიწებითა და აღერსით მეგყრობოდენ: მკონიდენ, ხელში ამიყვანდენ ხოლმე, საჩუქრებს მამდევდენ და მანებიერებდენ, მაგრამ მაინც მე მათი მობძანება ბევრათ არაფრათ მეტიერებოდა, რადგანაც გული ტყეშიწდრისა და სამწყსურისაკენ მიქრდა. კიდევ ჩემი ბედი, რომ ისინი დიდხანს არ იცდებოდნენ სოფელში და მეც გაეფუტებდი ხოლმე თუ არა მათ ცოცხა მოშორებით, ისე ვავრბოდი სამწყსურში. იქ სოფლის ბიჭები, ჩემი აზნავეები, გამომიკითხავდენ ხოლმე: „რა მოგიტანეს? რა გითხრეს ბატონებმა? როგორ იყვენო? და სხ... ამის გამოკითხვის შემდეგ, ჩვენც მაშინვე ბატონობას თამაშს დავიწყებდით ხოლმე: ზოგი ქალბატონს წარმოადგენდა, ზოგი ვითომ ვაგბატონი იყო, ზოგიც მხლებლები!.. ვადაჯვდებოდით ჯობის ცხენებზე და ჩვენს მზიარულებას საზღვარი არ ჰქონდა.—ზემოთაც მოვიხსენიე, რომ ქართველებს ურჩხვი და უთვალავი სათამაშოები გვაქვს-მეთქი.—ერთი მათგანი საშუალოდ ჩამჩრა გრძობა-გონებაში, თუმც ის თამაშობა თავის-თავად სახალისი არ არის. ეს ვახლავთ „ქორობია“—ერთი უფროსთავანი კრუხობას იკისრებდა, სხვები წიწილები ვიყავით. ვადაკეთებდით წრეს, ჩავამადით ფერხულს და ეტრიალობდით. ქარი მოდიოდა წიწილები მოსატაცებ-

დასრულდა

ლად, კრუხი იგვრებდა სანამ ძალ-ლონე ჰქონდა.—  
 ბოლოს ქორი, ხან ერთი კრუხიდან, ხან მეორე  
 კრუხიდან მოვარდებოდა, გაგლეჯდა წრეს და გაი-  
 ტაცებდა წიწილს, მაშინ წიწილები გაიფანტებოდნენ,  
 მიიმაღებოდნენ აქეთ-იქით და გამწვანებული კრუხი  
 კი შეივლებს რომ აქეთ-იქით მიმაღულსა და მიხი-  
 ზნულს დანიხავდა, თვითონ გამოუდგებოდა ქორს,  
 დაგდებინებდა და დაიბრუნებდა ხოლმე გატაცე-  
 ბულ წიწილას. მაშინ ხელ-ახლად იწყებდა ქოთ-  
 ქოთს, შეიკრებდა წიწილებს და გაბამდა წრეს.—მა-  
 რთალია, გამარჯვებული კი ყოველთვის კრუხი რჩე-  
 ბოდა, მაგრამ იმ საზრალის მოსერება არ ჰქონდა  
 და იტარებოდა.—ეს თამაში, მე არ მიყვარდა, თუ-  
 მცა ყოველ დღე სხვა-და-სხვა თამაშობას ამითი ვა-  
 ბოლოვებდით ხოლმე. მეცადებოდა კრუხი და ხმ-  
 რად ვეკითხებოდი ხოლმე ძიძას: „რა დღეაჲ კრუ-  
 ხმა ქორს, რომ წიწილებს ტაცებს და არ ასვენებს-  
 მეთქი?“ „ჰემა უნდაო!“ მიპასუხებდა ხოლმე ძიძა  
 და დაიწყებდა სიცილს.—არ ვიცი ეს თამაშობა,  
 რომელიც საერაჯიშობი დიდი არა აზის-რია,  
 განძრახ იყო გამოკრანებული რაიმე სამნიშნე-  
 ლოთ, თუ, ისე შემთხვევით უბრალოდ მაგრამ  
 დღეს რომ ვუკვირდები, ძალიან მაგონებს ჩვენი  
 ქვეყნის ბედს.—ჩვენი ცხოვრება... ჩვენი ისტორია  
 სწორეთ ქარობიას წარმოადგენდა: საქართველო  
 კრუხი იყო სიკაცხელ გამწარებული და სხვა მისი  
 კრუხებში წიწილები!.. მტრები ქორებივით ესგოდნენ..

იტაცებდნენ ხან ერთს მხარესა და ხან მეორეს, მა-  
 გრამ საბოლოოდ კი საქართველო მაინც კიდევ  
 იბრუნებდა ხოლმე დაკარგულ მხარეს და გაერთე-  
 ბული, ფერხულ-ნაზმული წრე ბოლოს იქნებდა  
 ძლიერად. მაშინ მე ეს არ მესმოდა, მაგრამ გულზე  
 კი რაღაც უნებურად მკენდა და მეჯავრებოდა „ქო-  
 რობია“. რასაკვირველია, თუმცა მისი თამაშობა ყველას  
 კი უნდადა, მაგრამ სიყვარულით. კი არავის უყვარ-  
 და. ერთხელ სახლში რომ დავბრუნდი, მოწყენილო-  
 ბა შემნიშნა ძიძა და მითხრა: „რა იყო? ქარობა  
 ხომ არ გითამაშნიათო?“

ვითამაშეთ და ქორმაჲ მე გამოტყა-მეთქი!—  
 ეუბნასუხე სიცილით. ძიძამ ჩამიკრა გულში და დი-  
 წყო ტირილი. მე გამოვიკირა და ვკითხე: „რა გატი-  
 რებს-მეთქი?“ ის მატირებს, რომ ხეალ ჩემ წიწილ-  
 საც მოიტაცებენ და მომამორებენო!.. წიწილას რა  
 უყირს, მაგრამ, როგორ აიტანოს და როგორღა გა-  
 ძლოს კრუხმა უმისობით?!“ ეს რომ თქვა, გული  
 ამოუჯდა, მოუმატა ტირილს და უფროა ძალუმაღ  
 მიმიკრა გულზე. მე, თუმცა არა მესმოდა რა, მაგრამ,  
 მივხედი კი, რომ აქ კარგა არა აზის-რია-მეთქი და დღეწე  
 ტირილი... ვიტრე, ვიტრე და ჩამძინა ძიძის კალ-  
 თაში. მეორე დღეს კი ყოველივე გაუგე: სამუდ-  
 მოდ გამომთხოვეს სოფელს და გამოიყანეს სასახლე-  
 ში, სადაც სულ ახალი ცხოვრება უნდა დამეწყა.

აყაე

საყურადღებო ამბავი



აქსში თოთხმეტ იანვარს, ნინოობა დღეს,  
 ჩვეულებრივ ქართულ წირვას მოჰყვა დიდად  
 პატივცემულის მღვდლის, მ. ზ. ლეკიანიშვი-  
 ლის სიტყვა, რომელშიაც დავეხატა წმ. ნინოს  
 ცხოვრება და მისი ღვაწლი ჩვენი ერისადმი, აღნი-  
 შნა ავრთვე, რა სამსახურიც შეუძლია გაუწიოს  
 შეგნებულმა და მომზადებულმა დედამ თავის ოჯახს  
 და ერს. აქვე მიმართა მამა ზაქარია დამწერეთ და  
 სთხოვა დახმარება აღმოეჩინათ იმ დედათა სასწავ-  
 ლებლისათვის, რომელიც უნდა გაიხსნას ტფილისში  
 ჩვენი მომავალი დედაბის მოსამზადებლად.

დღი თანაგრძობით მივებდა ყარსის ქართვე-  
 ლობა ამ ამბავს და ალგვიტყვეს—მამაკათო ფუ-  
 ლი, ქალებმა თაფიანთ ხელ-საქმე დანიშნუ-  
 ლის ალგერისათვის. ფულები იკრებდა, ნივთებს კი  
 ვკვანით „კეალის“ რედაქციაში კუთვნილებისამებრ  
 გადასაცემად.

თუ ყველგან ასეთი თანაგრძობით მოვიდა  
 ქართველობა ამისთანა საშეიღობილო საქმეს, რო-  
 გორც ყარსში, იმედ უნდა ექჷნოთ, რომ მაღუ  
 მოვესწრობით განხორციელებას იმ ფრიად საკირო  
 და დიდ-მნიშვნელობიანი საქმისას, რომელიც სწო-  
 რედ მისწრება იქნება ჩვენი დაქვეითებულის ცხო-  
 ვრების სულის მოსამზარებლად.

ი. პაჭაძე

გულითადად მადლობას უტყალებს დედათა შკო-  
 ლის კომიტეტის თავმჯდომარე ქნ. მ. ვ. ობრელო-  
 ანისა ყარსის ქართველებს; ქვემო მოხსენებული სა-  
 კუთარი ნაკეთები ნივთების შემოწირვისათვის და  
 იმედიც აქვს, რომ არც ნაკლებს თანაგრძობობას აღმო-  
 უჩერენ დედათა შკოლის სხვა საქართველოს კუთხე-  
 რებ; ვაცხადებთ აქვე შემომწირველთა სიას: 1, ბე-  
 ლებურის სახეზე ნაკერი ხურჯინი ნ. ა. გოგინაშვი-  
 ლ-სა; 2, ოკრო-მკედით ატლასზე ნაკერი ბალიში  
 ქნ. ო. ი. მიქელაძისა; 3) მალეზე ნაკერი ბალიში



ო. ე. ქეთარაძისა; 4) კანვაზე ნაკერი ბალიში № 12  
5) ატლასზე ნაკერი პატარა მუთაქა კნ. მ. ციცი-  
შვილისა; 6) თორმეტი ნაკერი ჩაის საღებვეთი და  
ექვსი სუბრისა ნ. ი. შვლონგოვსკისა; 7) აბრეშუ-  
მის ძაფით ნაკერი ქისა მ. მ. იმერლიშვილისა; 8,  
სათამაშო ნაკერი ა. ი. ქეთარაძისა; 9, ნაკერი პირ-  
სახოცი ს. ზედგინძისა; 10, მოქარგული პირ-სახოცი ს.  
გრაგორიევისა; 11, მოქარგული პირ-სახოცი ს.  
გრგორიევისა; 12; ღამაზარს ქვეშ გასაშლელი ე.  
აბასაძისა; 13, წიგნის ჩასანაწმინავე ე. აბასაძისა.

წიგნების გავრცელების საქმე ჩვენში.

**გ**აფრანგეთის დიდებული მწერლის ექტორ  
პოუგოს ნაწერები რამდენიმე ასი ფრანკი ღირს,  
მაგრამ ამავე ავტორის თხზულებები სულ  
რამდენიმე ფრანკად შეიძლება შეიძინოს კაცმა. მა-  
რიალია, კარგია გარეგანი სიმშენიერე; მაგრამ ეს  
გარეგნობა ჩვენ ჯერ-ჯერობით ძალა-უნებურად უნდა  
დაუთმოთ საფრანგეთის ბურჟუაზიას, რადგანაც რუს-  
თაველის არ იყოს „ძალი არ შესწევს ქაღილსა“ და  
მხოლოდ ხალხისთვის ხელ-საყრელ ფასად გამოეს-  
ცეთ სახალხო წიგნები. ემიგრანტთ, რომ ახალიც  
რომ არაფერი მოგვეპოვებოდეს გამოსაცემი, მეტი  
არ იქნება გამოცემელი ამხანაგობა შეუდგეს: ყაზ-  
ბეგის, ილ. ჭავჭავაძის, აკაკის და სხვა ჩვენი მწერ-  
ლების თხზულებების ცალკე წიგნებად გამოცემას  
ხალხის ხელ-საყრელ ფასად. ეს მით უფროა საჭი-  
როა, რომ თუ ოდესმე მოვიწოდებთ ხალხიდან,  
ეგრე წოდებული, „გონების დამაძლუნებელი ლი-  
ტერატურის“ განდევნას, ეს პატარა წიგნაკება ერთად-  
ერთი მარჯვე იარაღი იქნება ამ შემთხვევაში. მაგ-  
რამ ამ წიგნების მნიშვნელობა მარტო ამით როდი  
გათავდება; ამ წიგნაკების საშუალებით ამხანაგობა  
აუკრავს კრიკას იმ გამდიდრების მადა-აღბრულ  
ჩარჩ ვაჭრებს, რომელნიც ერთი მხრით აგრე-  
ლებენ ცუდს შინაარსის წიგნებს და მეორეს მხრით,  
(თუ კარგი რამე გამოსცენ) ტყავს აძრობენ თვით  
ავტორებს.

რა თქმა უნდა, ის წიგნების კითხვის სურვილი,  
რომელზედაც ჩვენ ეილაპარაკეთ ზემოთ, არც ზო-  
გიერთ ჩარჩებს დარჩათ შეტუნიწმინავე და კიდევ ეგ  
ყოფი მიზეზი, რომ მოაწოდოთ ეს წიგნების გავრცე-  
ლების საქმე. ექსპლორატორის\* იარაღად გადაქცეათ  
და გადააქციოს კიდევ, ის ჩარჩი ვაჭარი ხელდას,  
რომ ხალხი ეტანება წიგნების კითხვას, ხელდას, რომ  
ამ დღოც კიდევანაში ლიტერატურისათვის იაუ  
ფასად მიწისქვილეს ბიჭსაც ვერ იქირაებ. აბა, მე-

ტი რაღა უნდა ევაქარს? ის სტოვებს მეფართობას და  
იწყებს წიგნებით ვაჭრობას. „ეს სულ—უცეთესი, იტ-  
ყვის მკითხველი,—აქამდე თუ ფართლის დუქანში ატ-  
ყუებდა ხალხს, ახლა წიგნებს მაინც მიაწვდისო.“  
კარგი და კეთილი, მაგრამ ამ საპატრო ხელობის მე-  
ორე მხარეც გასინჯეთ: აბა, კარგად ჩააყვირდით, რა  
საშინელი ავტორის ტყავის ძრობა და ხალხის ინ-  
ტერესების უარის ყოფა უძევს სარჩულად ამ ჩარჩ-  
ვაჭრის ტყავის გამოცელოს. აი, მაგალითებიც, სჯა  
და გასამართლება თქვენთვის მოკვირდეთ. აბა  
წინად ერთმა ასეთმა წყაუ-გამოცელობამ ვაჭარმა  
გამოაცხადა „გაზეთში“ „ამა-და-ამ ადგილზე წიგნების სა-  
ბეჭდავი (Типография) გავხსნი და თუ რომელიმე მწე-  
რალს დასაბეჭდი რამ თხზულება აქვს, დიდი სია-  
მოვინებით გამოცემო.“ ეს განცხადება ბ-ნ დუტუ  
მეგრელსაც წყევითხა და ვაჭრისთვის მიიწერა: დრო  
გამომგებით გამოცემებში ჩემი რამდენიმე მოთხრო-  
ბაა, დაბეჭდე და გამოცეო.“ (ამ მოთხრობების ფე-  
სად ბ-ნ დ. მეგრელი სულ ცოტა ჰონორარის სთხო-  
ვდა). „რა ექნა, ბატონო, თქვენც მოგხსენებთ,  
რომ ქართული წიგნები არ იყიდება, მე თუ ესცემ  
ხალხის სასარგებლოდ ესცემ წიგნებს და ფულის  
მოკცმა არ შემიძლიაო,—სწორდა პასუხად ვაჭარი,  
—მხოლოდ თუ გინდათ ორმოცდა ათ ცალს თქვე-  
ნის თხზულებისა დაბეჭდოს მოგარბმეო.“  
დღუტუ მეგრელსა, როგორც მოსალოდნელიც იყო,  
არ მისცა თავისი მოთხოვნები ამ „Иде-интереса“-ს\*)  
მაგრამ უარეს ბედს არ ასცდა ახალგაზდა ბელეტრის-  
ტი ბ-ნ ე. ნ.—ლი, რომლის ყველა ნაწერები მხოლოდ  
ოც მანეთად ჩაიგდო ხელში ამავე ვაჭარმა.


როგორ მოგწონს, მკითხველო, ამ გვარი საქმე?  
საიკლავი მწერალი!... ის სწერს მთელს თავის სიცო-  
ტლემში მშვიტ-მწყურვალი, კვირთა და ვარამით,  
ნაღლით და გულის სისხლით და გამოამცემელიც  
რამდენიმე ათას ცალშიც ოც მანეთსაც აღარ იძლე-  
ვა! ანაჲ შემდეგ კიდევ მოეთხოვება მწერალს სრუ-  
ლი და უნაკლები თხზულების დაწერა ჩვენში?  
ჩვენში, სადაც მწერალი შეჩვეუბა მხოლოდ სამად-  
სამს რედაქციას, რომლის მქლე ჰონორარითაც იბრუ-  
ნებს სულს (ვაშობთ „ჩვენში“ მისთვის რომ რუსეთში ღ  
სხვაგან რედაქციები მაინც ბევრია, რომლებიც სანახევ-  
როდ პურის ფასს მაინც მისცემენ მწერალს), ყველა  
დაგვეთანხმება ეს თქვათ, რომ ამ გვარ პირებში დაყე-

\*) ეს მოთხოვნები ბ-ნ დ. მეგრელის გამოიგდ  
ქუთაისის გამოამცემელ ამხანაგობის მიერ შექმნილი სე-  
თაურით: „ეს უარესი ჩვენის სახლის ცხოვრებაა“ ნ, რომ-  
ლის სასუილადაც აუტორმა 60 მანეთი მიიღო.



ნებული მწერალი სრულსა და უნაკლულს ევრაფერს დასწერს და თუ რაიმე გამოვიდა იმისი კალმოდან, ის ნაყოფი იქნება იმ ორიოდ წამისა, რომელიც მას გაღუნარჩუნებია არსებითი პურის ძებნაში. ეინ იცის, იქნება კიდევ ეგ იყოს მიზეზი, რომ მცხარამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურას ისეთი ნაწარმოები ორიც არ გადააქვს მეოცე საუკუნეში, რომლითაც თავის მოწონება შეიძლებოდა და მხოლოდ მეთორმეტე საუკუნეში დაწერილი „მეფების ტყაოსანი“ გამოაქვს თავი.

ვერე პავლიძე



მ წ უ ხ რ ი



თვარიანი ღამე იყო,  
წყნარი, გრილი, მომხიბლავი.  
ზეგარდამო მადლსა ჰყენდა  
ძალთა-ძალი უხილავი.

ცა ქვეყანას, ქვეყანა ცას  
ყურს უგდებდენ ერთმანეთსა;  
მით ორივე შეთანხმებით  
აღიღებდენ შემოქმედს!

იცის და ქვეყნის შუამავლად  
სხივი იყო მთიებისა  
და იმათში პირველობა  
შუქურ-ეარსკვლავს მიეთვისა.

თვით მცენარე აღმაქმევით  
მიმოფენდა სუნენლებას...  
სოკბუტე ძალსა გრძნობდა  
და სიბერე გახლებას...

წამი იყო სასუფეველის  
მრავალ-მეტყველ მღუმარება  
და ნაყოფი სამოთხისა  
ამაყროვლი ნეტარება.

აქ უეცრად ვარდის ბუჩქი  
შეინძრა და შეიძრა რტო.  
ზედ ბულბული თურმე იჯდა  
გამსქეალული მარტოდ-მარტო.

მოერთა გრძნობა მღერალს,  
გულში მადლი ჩაესახა..

ტკბილ-ზეესური, მწარე-ზარი  
ორივე ერთად შემოსძახა.

ხმა გაისმა სხივ-ნართი რამ  
ზეამტანი, ამაძგერი!..  
ყველა სმენად გადაიქცა  
უსულო და სულიერი.

მოფერადე ჰანგით-ჰანგის  
დაიქანცა, დაილალა,  
თითქოს ჩასდნა თვის ტიკტიკში:  
ხმა შესწყვიტა!.. გაქრა ძალა!..

ნაცვლად მისსა იქვე ახლოს  
ატიკტიკდა სხვა ბულბული...  
იგივე კილო, იგივე ხმა...  
შიგ არც სული და არც გული!..

თურმე რაღაც სათამაშო  
ბავშს ეჭირა, სულს ჰპერეცდა  
და მანქანიც ხელოვნური  
ბულბულისა ხმით უკრავდა.

მაგრამ ნამდვილს ისე ჰგავდა  
ვითა მწყობრი განთიადსა,  
ვით უსულო სულიერსა  
და აჩრდილი მისვე ცხადსა.

შვედადრე ერთმანეთსა,  
შვეუწონენ დიდსა მცირე  
და ასე ესთქვი: „სხვა-და-სხვაა.  
პოეტი და მოშირი!“

ვაკო



წიხნდა მძუმი არჩილი

(668—718 წლებს შორის ქ. შ. ვახუშტის ქრონიკლით)



მეცემ პირველი თორმეტი წელი იღვწა მუჩრან ყრუს მიერ განადგურებულ საქართველოში, რომ მთებში და ხეობებში გაბნეული ხალხი ისევ მოსულიყო თავთავის ადგილს და დაშენებულიყო. ამის გულისთვის არჩილ მეფემ პირველად მიაქცია ყურადღება საზღვრების გამაგრებას და აღაშენა ზემოგურიის საზღვრებზე საბერძნეთისკენ ციხე, თუ არ ეცდებოთ, ბაიბურთის მახლობლად რომ ამით არ დაწუჯის „მამფლები“ ბაგრატიონთა გე-



რისა უფრო თავის ქვეყნისკენ მოემხრო. სხვითი თერაფრით ვერ მოიგებდა გაცილებულის ერის-თვრის გულს, თუ არ დამოყრებით და ამ განზრახვით იმან მიათხოვა თავის ძმისწულეები შეიდი ქალი შეიღს წარჩინებულს სხვა-დასხვა საქართველოს ქვეყნების ერისთავებს და სომხეთის მთავრებს, რომელნიც ამ დროს არაბთა შემოსევისაგან ძალიან შეწუხებულნი იყვნენ და ზოგი მათგანი კიდევ აიყარა თავის ხალხითა და ითხოვა არჩილ მეფისაგან ჩანი და მოეკანინ. სხვათა შორის მოვიდა ადარნასე მთავარი ადარნასე ბრმის შვილი, გამოქცეული არაბებისაგან, ითხოვა აოხრებული საქართველოს ადგილები დასასახლებლათ და მიიღო მისი ქვეშევრდომობა. არჩილმა მიუბოძა მას შოლავერი და არტანი, რომ მითი გაემჯრებინა სამხრეთის საზღვრები არაბების წინააღმდეგ. ამას შემდეგ არჩილმა მოუწოდა საქართველოს ერისთავები სიძებდად და ეს იყო მეფის მხრით დიდი პოლიტიკური მოსახრება. უნდა ვთქვათ, რომ ეახტანე გურგასლანის შთამომავალნი არჩილ მეფემდე თავის ქვეშევრდომს ერისთავებს ქალს არ მისცემდნენ. ისინი მოყვრობდნენ მხოლოდ საბერძნეთის იმპერატორებს და სპარსეთის ხოსროიდებს. არჩილ მეფემ ასეთი სიამაყე უკუავადა და, რაკი ბრძოლით ევრას გააწყობდა მათთან, მოყვრობით კავშირით დაიმორჩილა ისინი და შეიკრება ყოველი კუთხე ქვეყნისა. თვით ერისთავებს დიდ სასიქადულოდ მიაჩნდათ ეახტანე გურგასლანის სამეფო სახლის შთამომავალთაგანის ცოლად შერთვა და მეფესთან დამოყრება. ამ სახით არჩილ მეფემ ერთი ქალი, თავის ძმისწული, მისცა გურამ კურატპალატის ძმის წულის შვილსა, კლარჯეთის და ვახანეთის ერისთავს, მეორე პატიაზს, ფეროზის ნათესავს, ერთსთავს თრიალეთ-ტაშირ-აბოციასს, მესამე მისცა სომხის ერისთავს ნერსე ნერსესიანს, მეოთხე შემოსენებულს ადარნასეს, ძმისწულს ადარნასე ბრმისას, მეხუთე მისცა ვარაზს, მთავარს ვარდაპირისას, ნათესავს ფეროზისას, მეექვსე ჯუანშერ-ჯუანშერის კახეთის ერისთავს, რევის შთამომავალს, კაცს ბრძენს და მწიგნობარსა, რომელიც უნდა ყოფილიყო ქართლის ცხოვრების მემკვიდრე. ამ ერისთავებს გაუწაწილა მთელი ქართლ-კახეთის კუთხეები და თვით ქართლში დიბრევა მხოლოდ საუფლისწულო მცხეთათუთ. შემდეგ არჩილი წაიდა კახეთს და დასხა იქ თავის ხლებულნი, მიუბოძა მათ კახეთის მიწა-წყალი და შექმნა ისინი სეფისაზნაურებად; ამ დროს მან შეერთო ცოლად ასული გვარამკურატპალატისა, გიორგიულა ტაოკლარჯეთი და აღაშენა მკლესია სამშორს.

ამ ყმადა ხევის კარიდან ხშირად გამოდიოდნენ

ხაზარები და აოხრებდნენ საქართველოს. არჩილ მეფემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მთიულეთს. კასრის ხეობა გაამაგრა და დააშენა, დაუშენებდა და აუბოხროს, მთავარს ხუნძან-ლეკეთისას, რომლის მფლობელობას ქვეშ მამინ თუმ-ფშაბეცესურნიც იყვნენ, ასე გასინჯეთ, თავის საუფლისწულო წუქეთიც იმას მიუბოძა. შემდეგ ნოხ-პატელნი მოაქცია ქრისტეს სარწმუნოებაზე და აღაშენა ნოხ-პატის ორ-წყალ-შუა ციხე-ქალაქი. ამ დროს მოვიდა არჩილთან სომხთა პატიაზნი თავის კრებულით და ქვეშევრდამებით, რომელნიც აყრილიყვნენ ტაოს კარიდან არაბების მტრობის გამო და წამოყოლოდნენ თავის მთავარს. რადგან ამ დროს აუბოხრო მომკვდარიყო და მემკვდრეთ მხოლოდ ქერიგი დარჩენოდა, მან შერთო ეს ქერიგი სომხის პატიაზს, მიუბოძა წუქეთი და ჩააბრა დარაჯობა ხევის კარისა ხაზარების წინააღმდეგ. მეშვიდე თავის ძმისწული არჩილმა მისცა ლიონს აფხაზეთის ერისთავს, რომელსაც ეპირა ქვეყანა კლისურიდან მოკიდებული დიდ-ხაზარეთის მდინარემდის, ესე იგი (ყუბანმდის).

აქედან ცხადდ უნდა გიგულისხმობთ, რომ მამინდელი მფლობელობა ბიზანტიის კეისრისა მხოლოდ დღევანდელი ჩერნომორიის მხარეზე ყოფილა გავრცელებული, ესე იგი მას დაუფლია საკუთრად აფხაზეთი და ჯიქეთი. ბოლოს ლიონ მთავარმა ბიზანტიის პატარაობისგან განათავისუფლა თავის ქვეყანა და მოენდო არჩილ მეფეს და ითხოვა მის ხელქვეით მთავრობა. ხოლო კლისურს აქეთკენ მოყოლებული მთელი ეგრისი, გურია და იმერეთი საქართველოს ეკუთვნოდა და არჩილის სამფლობელო იყო. ამან განახლა ციხე-გოჯი და აღირჩია სატახტო ქალაქად ქუთაისი. ამ სახით არჩილ მეფემ ორმოც-და-ათის წლის განმავლობაში ისევ დააშენა საქართველო, ერისთავები მოყვრობით კავშირით შეიერთა, გავრანებულს ადგილებზე რანსა და მოეკანში და აგრეთვე ტაო-აბოცში დასახლა გადმოხიზნული სომხის ხალხი და მიიღო პატიაზმები (მთავრები) თავის ყმებთან თვის ბრძანებლობას ქვეშ.

ტფილისის ემირი საქართველოს მეფის ასეთს გაძლიერებას და მის ერის შემოკრებას შურის თვალთ უყურებდა. აი, ეს ვარემოება იყო მიზნეი არაბთა მხედართმთავრის ჰიქუმის ხელმძღვრე შემოსევისა. ამ ჰიქუმს არჩილ მეფის წამების ამწერი, ლეონტი მროველი, უწოდებს ჰსიმიად.

შემოვიდა თუ არა არაბთა ძლიერი ჯარი საქართველოს საზღვარში, არჩილ იმე წაშს განემგზავრა მკირეოდნენ ხლებულებით ჰსიმითან და თავი დაუტყრა მორჩილების ნიშნად, რომ გამობრუნებული ქვეყანა მძინეზარე მტერს ხელობდა არ ავობრე-

ბინა. მაგრამ არაბთა გულქეა პოლიტიკამ არ იცოდა შებრალება იქ, საცა ერის მთავარს ძლიერება ჰქონდა შეკრებილი. არაბებს უნდოდათ ქვეყანა მათი ხარკის მძლეველი ყოფილიყო და ამის გამო ქვეყნის მთავარს ეერ შეიწყნარებდნენ. ჰასიმმა დაატყვევა არჩილი, უნდოდა მაჰმადის სჯულზე მიექცია და ეს რომ ეერ მოახერხა, შემდეგ ბრძანა წმინდა მეფისთვის თავი მოეკეთათ. გადაძინებმა მოიპარეს არჩილის გვამი და დაფლეს დიდი პატივით შემურვილი ნოტკორას, მისგანვე აგებულს ეკლესიაში.

ამ სახით წმინდა მეფე არჩილმა მთელი თავის დიდხინის სიცოცხლე მურვან-ყარუს მიერ გაოხრებულ

საქართველოს აღდგენას და შეერთებას მოაწოდოდა. ბოლოს მოხუცების ტყმს თავიც შესწირა ქვეყანას, რომ მძვინავარ მტერს ჩაეოხრებდა საქართველო. ამით მან ჩადა მკიდარი ბურჯი მომავლის პოლიტიკურის ძლიერებისა. წმინდის არჩილ მეფის ღვაწლი დიდა საქართველოსთვის. ამიერიდან ერისთვის უფრო ერთობა ჰქონდათ და უწინდელად აღარ განცქრობებულან. ამ ერისთვის შორის ბაგრატიონის გვამა ბოლოს იწყო თანდათან გაძლიერება და მასთან საქართველოს სახელმწიფო უფლებაც ნელ-ნელა გამტყიცდა.

გ. წერეელი

### ბიბლიოგრაფია

თეატრის მატჩანე, 'ივერია' № 44.



ბოლოს, მეხუთე კლასის მოწაფეს ქრესტო-მატიული გაკეთებით თავი მოაქებს და კბუტყბერიე აღტაცებით ჰსნის თქვენს წინაშე პოეზიისა და ესტეტის კანონებს, თქვენ, რასაკვირველია, ღმილი მოგივით და თანაკძნობით წააქეზებთ ახალ-განდა ყმაწვილს: „ყოჩაღ, რა კარგათ შევიგნია პოეზიის კანონები“ და ამასთანავე უჩრგეთ, ხრისტომატიას გარდა, სხვა კიდევ უფრო მეცნიერულად დაწერილი თხზულება წაიკითხოს ამ საგანზე, რომ უფრო ერცლიათ და შედმიწვენი შეიგნოს იგივე საგანი, რომელიც ხრისტომატიასში გაკვრილ და მოკლეთ არის მოხსენებული; მაგრამ როდესაც ამავე საგანზე წლოვანებით შუბლდასერილი, ვითამც კრიტიკოსი, დაუსრულებელს „მზა-მეტყველებას“ სწერს გაზეთში და საბუთათ მოჰყავს კოშმანსის რეტორიკიდან დაშორებული განმარტებანი, მაშინ დომიონის მაგრილად თქვენ გული გიწუთ განგების სიმტწარის საცადობით. სწორედ მოგახსენოთ, მეტი თავებობა უნდა იყოს მწერლისაგან ასეთი უპატიეკმულობა და გაბახება მკითხველის საზოგადოებისა. კოშმანსის რეტორიკა ამ ორმოც-და-ათის წლის წინად იყო მოწაფეთა ხელსამძღვანელოდ შედგენილი; იგი ასწავლიდა მეჩემდმეტე საუყუნის საურანგეთის კრიტიკოსის „ბულოს“ მეტაფიზიკუსს „კუპა-ბაკისა“. წარმოიდგინეთ, რომ ბ-ნი მანოელიძე ასეთი მცნებთ ატეჭერილი გვასწავებს დრამის სხვა-და-სხვა გვარ განაწილებას: „დრამა გუნათა-ღელგისა, დრამა სხსათისა, დრამა ინტრეგისა და სხუ მოდი და ნუ გაკეცივება, რომ ასეთი მეჩემდმეტე საუყუნის მოძღვრების მიმდღვი კრიტიკოსი ჩვენს განვითარე-

ბულს თობას ართობს თავის ცრუ-კლასიკური „როზობლითი“. სწორედ საცინელია, რომ სამწუხარო არ იყოს; მაგრამ ბ-ნი მანოელიძე ამას კიდევ არ ეპარობს. იმას უნდა ჩენი განებაც ასეთს უმეტრების ზეწარში გაახვიოს და გვიჩრგეს: „წარამძღვართო წინ ასეთი კრიტიკის მიერ დრამის დრესკან-კლუდკანების გასაზომთ გამოთლადი აღდი და ამ თელთა სეფვის ისართ განვისაღვთო ბ-ნი შეკუღეს დრამა; „სეფვიგოა“.

უკაცრავად ნუ ექნებთ, მაგრამ გთხოვთ ჩენი თავი დაგვანებოთ და ისევ თქვენვე „წარამძღვართი“ ეგ თელთა-ზეღვის ისარო; რომელიც თელღებში გვემიათ და დაუბრმავებობართ. უკაცრავად ნუ ექნებთ და ჩენ მავისთანა ცრუ-კლასიკური დრამის დანაწილებით ევლარ ეხელმძღვანელებთ, რადგან აგეთ დანაწილება დრამის მხოლოდ მეტაფიზიკების ცრუებტელაობის ნაყოფია და არა ამ დროის ესტეტური მცნებისა.

როგორი დრამაც უნდა აიღოთ, ცხოვრებიდან აღმოხატული, იმაში ენებთა-ღელღეც უნდა იყოს, ტიპების დახასიათებაც და ინტრიგაცა. ყველა ეს თვისებანი ყოველ დრამაში განუყოფელი უნდა იყოს; არც შესაძლებელია დრამა რომ ამ სამგვარ თვისებით არ დაიწეროს. ამა, მიჩენეთ ისეთი დრამა, საცა მხოლოდ დაზასიათება იყოს ტიპისა და არა გრძნობათა-ღელღე; საცა ინტრიგა იყოს და იმავ დროს არ ჩნდეს „ენებათა ღელეა“, საცა მხოლოდ ენებთა-ღელღეა იყოს და ტიპების ხასიათი კი არა? მაშ რა საჭირო იყო ასეთი ნომენკლატურა დრამისა, რომელიც უკვე იკრი საუყუნეა უარყოფილია. ვინ არის ახლანდელ დროში, რომ ეს არ ეცმოღეს და არ იცოდეს ვარდა „ივერის“ კრიტიკოსისა? როცა ასეთი მტწარო უკვადინარობა საგნისა პირბადე-ჩამოსხნილი დღღღებს მკითხველის წინაშე, რა გასაკვირი უნდა იყოს, რომ მკითხველმა გაბრაზებთ უყუადღოს და არც კი წაი-



კითხოს ასეთი დაფარატინებული მცნება-უცილობა; მაგრამ კიდევ უფრო საბუნჯო ის არის, რომ ბუ-  
ალოს მცნების მალადმდელი კრიტიკოსი ამჟამ  
იმოწმებს ლესინგს, რომელიც მეორე თავის სი-  
უცხოესე უფროსა და გომეტდს ებძობდა, მათი  
შეხედულობა ხელოვნების ქმნილებაზე უარყო და  
შეჭქმნა გერმანიაში ახალი ეპოქა აზროვნებისა.

„შესანიშნავი ღრამატური ლესინგი ამბობ-  
სო:—რბით წარმოსთქვამს „ივერიის“ ესტეტკოსი,  
რომ „შინარსი ღრამისა შესაძლებლობის საზღვარს  
არ უნდა გადადგოდესო“. კიდევ ეგ ვახლავთ თქვე-  
ნი უცილობა, ბ-ნო მანოელიც, რომ ლესინგის აზრი  
ვერ გაგივით, ვერ შეგეთვისებიათ; მაგრამ ან კი რა  
გასაკვირია, რომ ბუჟლოს მცნების მიმდევარმა ლეს-  
ინგის მიერ წარმოთქმული ესტეტური კანონი ვერ  
გაიგოს. შესაძლებელი დიად ბევრია ქვეყანაზე, მაგრამ  
ყველა ხომ ღრამის საგნათ არ აიღებთ? მავალითად  
ბუნებაში სიამის ტყუებებიც ხომ შესაძლებელი იყო,  
მაგრამ ნუ თუ იხინი ღრამის საგნად ივარგებდენ.  
1875 წელს ჟენევაში სამეურნეო გამოფენაზე მე  
ენაზე ექვს ფეხიანი ხარი, რომელსაც ოთხ-ფეხს  
გარდა კიდევ ორი სხვა ფეხიც ჩლიქებიანი ზურგზე  
ჭქონდა ამოსული და იქით-აქეთ ეკიდა; მაგრამ ნუ-  
თუ აქედან ის უნდა გამოიყვანა, რომ ჟენევაში  
ყველა ხარები ექვს ფეხიანებია? კიდევ ეგ არის  
თქვენი უცილობა, რომ თქვენ კერძო შემთხვევა ღრ-  
ამის საგნათ მიგაჩნიათ და ღრამას, როგორც ხელო-  
ვნურთ ნაწარმოებს მნიშვნელობას უკარგავთ. მე  
უფრო კარგა მავლისთ მოგახსენებთ. იმერეთში  
ბატან-ყმობის ღრამს ერთმა თავადშეიღმა თავის  
მოახლე შვირთა ცოლად, მაგრამ აქედან ნუ თუ ის  
უნდა გამოიყვანათ, რომ იგი უნდა გახდეს ღრამის  
საგნათ და ამით დერწმუნდეთ, რომ ჩვენში წოდ-  
ებათა გარჩევა არ ყოფილა?

ხელოვნების რომელსამე ნაწარმოებისაგან ჩვენ  
ვითხოვთ ტიპს (სახოვადო შემკრებელიობისთ მოვლენ-  
ვის ნაყოფს) და არა განკერძოებულს პირს (შემთ-  
ხვევისთ მოვლინებას). ამა, რა უნდა ვითხრათ ბ-ნო  
მანოელიც, რომ თქვენ აქამდის ვერ შეგიგნიათ, რა  
არის ტიპი ხელოვნებაში და რა არის კერძო პირი?..  
მაგრამ რალს ელაპარაკობთ. განა ბ-ნ მანოელიძის  
პასუხს გ. წერეთლის გარჩევის წინააღმდეგ მართლა  
ხელოვნური დაფასება აქვს ღრამის „ხაფანგისა“? არა.  
მისი კადნიერება ასე შორის ვერ გაზედდეს თავის ამა-  
ღლებას. იმას უნდა მხოლოდ ამით მოგვაგონოს  
ღრამებულის ჩენის პოეტის რუსთველის სიტყვები:  
ღრამატური იარა ჭქვია, გინდ ღრამს თსხს მონაჭორი;  
თავი ყოლა ნუ ჭქონია ღრამატურდათა კანგათ სწორი;

„განა-და თქვას ერთი ობი, უმცხესო და შორი-შორი;  
მაგრამ იტყვის: „ჩემი სჯობისო, უცლობლობას, ვითა ვორა“.

დასასრულ ბ-ნ მონოელიცე ჰკვირობს, „გ. წე-  
რეთელს რომ ჰკითხობთ „უნლოა“ კი არა, „ახლა“  
უნდაო, „გეთაყვისა“ მივირად „გეთაყვენე“; „შეი-  
შენენეს“ არ მოსწონს, „შეიშნობს“-ო, „შეუძლიან“  
არ ვარგა, „შეუძლია“ უნდაო?!

„რატომ? ამისას კი აღარას ამბობს ბ-ნ გ. წე-  
რეთელიო. ეს მხოლოდ „კვლის“ კრიტიკოსმა და  
აღლამმა უწყისო!..“

დიად, ბ-ნ მანოელიცე! გ. წერეთელთან ერთად  
ყოველმა ნამდვილმა ქართულის მკოდნემ უწყის,  
თქვენს გარდა, რომ ეგ გასწორება ნამდვილია. ამის-  
გამო დეკითხეთ ბ-ნს „ივერიის“ რედაქტორს და  
თუ იმანაც არ გაღირსათ მაგის საბუთი, მაშინ მეტი  
ჩალა გზაა, გ. წერეთელი მოკცემთ ღრამატკის  
გაკვეთილს, შარშანდლისა არ იყოს, სიტყვის „ნახ-  
ტის“ შესახებ.

მ.ზაკალი

„მოამბე“ № II, შემედარი შერიშნა.

„მოამბის“ მეორე ნომერში არის რეცენზია დ.  
ღამაშიძის წიგნაკის შესახებ დაწერილი გელათის  
მონასტერზე. რეცენზერტი ბრძანებს: „ეპიტრი (დ.  
ღამაშიძე) ამბობს, რომ გელათის მონასტერი აღა-  
შენა დავით აღმაშენებელმთ, ბევრნი სხვანიც ამ  
აზრისა იყენო, მაგრამ ამ ბოლოს ღრამ ბ-ნმა ქორ-  
დანიათო—განავრძობს იგივე რეცენზერტი, — თავის  
ფრიად საყურადღებო შრომაში განმარტა, რომ გე-  
ლათი დაარსა ბაგრატ მეოთხემ, ხოლო დავით აღმა-  
შენებელს ეკუთვნის დიდი ეკლესია გელათისო.  
(„ქორანიკონები...“ 1593 წ. გვ. 202, 144)“.

სამუწხაროდ თ. ქორდანია ვერც გადაჭრით არ ამ-  
ტკიცებს ამ აზრს. იგი, აი, რას ამბობს ერთგან (გვერ. 144  
ქორანიკ.): „შემოსწენებული წარწერა დიად საყუ-  
რადღებო და ახალს ცნობებს იძლევა:

„1. ამ წარწერით, გელათის მონასტერი პირვე-  
ლად აღუშენებია ბაგრატ III († 1014 წ.) და არა  
დავით აღმაშენებელს, როგორც ენლომდის ცნობილი  
გვექონდაო“.

აქ ცხადად ამტკიცებს ბ-ნი თ. ქორდანია, რომ  
იმაზე ადრე ეს აზრი არავის გამოუთქვამს. მაგრამ იგივე  
თ. ქორდანია სხვაგან (გვერდი 202 ქორანიკ.) სხვას  
ამბობს: „აქ მოხსენებული ქორანიკაო ბადეს მეორე  
აზრსაც, რომელიც ბაგრატის ეკლესიად წოდებულის  
წმინდა გიორგის ეკლესიის აღშენებას ბაგრატ მეოთხეს  
მიაწერსო“.

სიანს, რომ თ. ქორდანის ვერ მიუყვლივია ზედ-

მიწვევით რომელი ეკლესია რომლის აშენებულა: ბაგრატ მესამისა († 1014 წ.), თუ ბაგრატ მეოთხისა († 1072 წ.)? მაგრამ ყოველ შემთხვევაში ის დაბეჯითებით ამბობს, რომ გელათის მონასტერი დავით აღმაშენებელზე ადრე იყოფა დაარსებული. და ეს აზრი პირველად მე მივაკლიეო და ჩემზე ადრე სხვას არავის წარმოუთქვამსო. ამასვე ღიადღებს და ამოწმებს თვით „მოამბის“ რეკონსტრუქცია.

ახლა გადავუტრკლოთ ბ-ნი გ. წერეთლის თხზულება (Полное собрание надписей на стѣнахъ и каменныхъ и приписокъ къ рукописямъ Гелатскаго Монастыря. Древностъ. восточн. т. I, вып. II), რომელიც მან შეადგინა მესხეთე არხეოლოგიის კრების კამისიის მინდობილობით 1881 წ.), ესე იგი ცამეტის წლის წინათ, და ენახათ, რას ამბობს: „სამხრეთის შესავლის კარებში (ფარდულში) (გ. წერეთლის მიერ) აღმოჩენილი იქმნა ძველი მხატვრობის ნაშთი. იქ ადვილად შეამჩნევთ დახატულ მეფეთა სახეებს ქუთაისის ტაძრის ამშენებლის ბაგრატ მესამისას, დავით აღმაშენებელს და დიმიტრის საერო ტანისამოსში. ამ მხატვრობის ძალით გელათის ტაძარი ასე წლით ადრე უნდა ყოფილიყო აშენებული, ვიდრე დავით აღმაშენებელი ცხოვრებდა, თუმცა ბ-ნი ბროსსე ამტკიცებს, ვითომც გელათის ტაძარი დავით აღმაშენებლის აგებული ყოფილიყოს! \*).

ამ სახით გამოდის, რომ გ. წერეთელმა ჟორდანიანზე ცამეტი წლით ადრე წარმოსთქვა გელათის ტაძრის აშენების შესახებ ის აზრი, რომელიც ბ-ნი ჟორდანიას დღეს თავის საკუთარ აღმოჩენად და დამსახურებათ მიანიჭა. ასეთი მითითება ბ-ნი ჟორდანიასმიერ სხვისი გამოკვლევისა და წარმოთქმული აზრებისა ჩვენთვის ახალი გავარება არ არის; მაგრამ ჩვენ გვაკვირებს „მოამბის“ უტყობობა, რომ ისტორიულ ნაწარმოებთა რეკონსტრუქცია ვიღაც დილელტანტებს აწერიანებს, მაშინ როდესაც მას ჰყავს თანამშრომლათ უფრო სასუქ-ვლიანი მკვლევარნი.

ეს საგანი იმდენად საყურადღებოა, რომ კარგი იქნება გ. წერეთელმა უფრო ვრცლად განმარტოს იგი და დაანახოს მკითხველებს, თუ როგორი კად-

ნიერებით ითვისებენ ზოგიერთები სხვების ნაშრომს და მეგობრების შემწეობით ცდილობენ სახელი გაითქვან \*\*).

ისტორიის მეფალეურ

## დარალაგების მთა

**წ**აქართველოსა და დიდ სამხეთს შუა ვაკრულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიტრე კავკასიის ქედი, რომელსაც ქართულად ეძახიან საზოგადოდ მოსხის ქედს; აღმოსავლეთის ნაწილს ამ მთისას შეადგენს აბოციის მთა, რომლის ჩრდილოეთის ტოტები თრიალეთის მთებად იწოდება. აბოციის მთები აღმოსავლეთით შეუერთდება გოგჩის ტბის ქედსა, რომლის ზურგი პირ-გალეხულია სამოცი ვერსის სიგრძეზე და შეადგენს უზარმაზარს მთის ქებას, წყლით გავსებულს აი, ამ წყლით გავსებულს ქებას ეწოდება გოგჩის ტბა, ანუ სომაურათ გელაქუნი. ამ ტბაში იტყენ ერთნაირ დიდ მთის კალმასს, რომელსაც ეწოდება გელაქუნდი, ანუ გოგჩის ტბის კალმანი.


ვიცაც ჰსურს თბილისიდან ერევანს წასვლა, ის უშუქველად უნდა გავმზავროს დილიციის გზატკეცილით, რომელიც ვადალს გოგჩის ქედზე და შეზარს გოგჩის ტბის ნაპირებზე. ზაფხულობით ამ ტბის ნაპირებზე მგზავრობას და აქაურ შეენიერ ბუნების ნახვას არა შეედრება. ამ ტბიდან გამოდის ერთი ხევი, სახელად ზანგა, რომელიც დევმება სამხრეთით გოგჩის ქედის დაღმართზე, საიდანაც დავიწყება შეენიერი და ვრცელი ქალა აჩაქისი მდინარისა. თქვენ თვალზეს აცვიფრებს შორს თვალ-გაღუწვეწენოს მინდორზეს სამხრეთით შაქრის თაყიეთ ამოსული უზარ-მაზარი მთის წვერი არაბატისა. როცა ზანგის ხეეს თავდაღმა დაუყვებით, მარჯვნით გაიხედავთ და თქვენს გაკვირებას საზღვარი არა აქვს. უცებ შენიშნავთ მეორე მხრივ უზარმაზარს მთის წვერს, რომელიც სვეტიცით ცამდის აყუდებულია. მის წვერზე მალა შენიშნავთ უშელებელს შეს ფულუროს, რომელიც შორიდან დღვის თვალივით ანათებს. აი, ამ თვალის გამო დაურქმევით თათრებს მთისათვის ალაგვი, რომელიც ქართულად „ლეთის თვალად“ ითარგმნება. მართლაც, რომ ეს საშინელი ღვთის თვალი ყოველ მხრით დაჰყურებს მთელს არაქსის თვალგაღუწვეწენოს ქალას. თვით

\*) სამიჯნობათ ვებუძვით ამ შესაშვანს მოი უფრო, რომ ხვეწ თვითონ ვესკუდად ამ საგანზე ვრცელდებოკვალამარცხანს.

\*) „Въ южномъ портивъ храма открыты (Г. Церетели) древнiя фрески и остатки древней живописи. Тамъ можно узнать изображенiя царей Баграта III го, строителя Кутанскаго собора, Давида Возобновителя и Дмитрия въ характерныхъ национальныхъ костюмахъ. Судя по остаткамъ живописи въ портивъ, Гелатскiй храмъ должеиъ быть существовать за сто лѣтъ до Давида Возобновителя, хоти, по утверженiю Г. Броссе, постройка сказаннаго собора будго бы принадлежить Давиду Возобновителю“.



ალაგვის მთებს ზანგის ხეობის გადასავალ გზიანად უზარმაზარი შავი ფულურო, რომელიც შორიდან ერთად ჰქვია დარ-ალა-გვი, ესე იგი ღვთის თვალის კარი. საიდან გაკეთებია ალაგვის მთის წვერს ასეთი ღვთის თვალსაეუთ მოჩანს? მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ალაგვი ყოფილა ერთ დროს ცეცხლოქშინა-



დაბლაჯის მთა

ვი მთა, რომელიც დრო-გამოშვებით თავის ყელი-დან ამოხეთქდა ხოლმე გალბეალ მიწის ნაღულს. ახლა ეს ცეცხლოქშინავე მთა გაცივებულა და ის ყელი, საიდანაც უწინ მიწის გალბეალი ნაღული ამოდებოდა, ფოროთ დაჩენილა და შორიდან უზარმაზარ მთის თვალად ეჩვენება კაცსა. X.X.

### მ ო ლ ბ შ ქ რ ე


(მედი ამაგი)

„მკ: გულო, ვკ: გონებაო,  
ვაჰ სიშორეო გზისო!  
წასვლაო, აღარ მოსვლაო,  
ლაშქრით ღამაზის ქვისო“

**მ**უთ! სირცხვილია, რას იტყვის  
ძვეყანა, მთელი ღუნია?  
განა ე თქვენი ცრემლები  
ჩემი გზით დამაბრუნია?  
სუ, დედაე, შენი ჭირიმე!  
და შენც ხმა კინდე დაცო!  
რას იწირალები, წუწუნებ,  
ასტებე ერთი გნასო.  
განა არ ეიცო, ჩემს შემდეგ  
ჩააბამ სამაისო!  
კმარა, ნუ ჰხარჯავ ცრემლებსა,  
მა დედათ მარჯვე იარაღს,  
აქვე ნუ წამალეკიანებ  
ცივის ცრემლების ნიაღვრას!

მომხდა წასვლა ლაშქარში—  
მამულიშვილის ვალაი.  
ერთი მენა ვარ, ათასი  
სხვა ესე წამავალია.  
კანონი ითხოვს, მაღალი  
კაცის გრძნობა და გონება:  
მამულიშვილთა სიციკლებით  
მტერთა არ დაემონება!  
და, როცა აღარ იქნება  
ხმლიანი ვაჭი ზეზეო,  
მაშინ იტირეთ, ღირს კიდევ,—  
მამული ჰქრება მვეზეო!  
ესლა რა არის საჯაერო,  
ან სატირელი ცრემლადა,  
როცა კიდევ ვართ იმდენნი,  
რომ მტრის ბასრს ვეყოთ გრდემლად?  
დეე, აკვესოს მის ხმალმა  
ამ ჩემის გულის ფიცარზე,  
ოღონდ კლდედ ვიდეგ ანდერძზე,  
მაშათა დანაფიცარზე!!

ზეზა



### ინფორმაციის მიხედვით ნაღირობა

**ნ**დაეთში მცხოვრებს ევროპელებს ყველაზე უფრო  
ნადირობა უყვართ. ისი ნინადირობენ საში-  
შარ მხეცებზე და უფრო სიამოვნებას გრძნო-  
ბენ, ვიდრე ჩვენებურ ნადირობაში, რადგან ისინი  
ხშირად საშიშარ მდგომარეობაში ევარდებიან. მად-  
რასის ამხანაგობა ერთხელ გამოეწყო სანადიროთ.  
ზოგი მონადირე ცხენზე შეგდა, ზოგი შინაურ სპი-  
ლოზე. სსეთა შორის სპილოს ზურგზე მოთავსდა  
პოლკოვნიკი ოფარიკი. მოემზადენ თუ არა, მონა-  
დირებეი გაუდგენ გზას. მწუხარე გავერანებული  
იყო მიდამო, სადაც მონადირეები გზად მიდიოდენ;  
თვალს ქვიშის მეტი არა ეჩხირებოდა-რა. ის შეენი-  
ერი ტბები, რომლებშიაც ინდუსები წვიმის წყალს  
აგროებენ ადგილების მოსარწყავად, მოუეღვლობის  
გამო ამომშარალიყენ, ყანებზე ბალახ-ბულახის მეტი  
არა ჩნდა-რა, ერთი სიტყვით მთელი არე-მარე გამ-  
ხმარს უღაბნის წარმოადგენდა. მხოლოდ აქა-იქ  
ამოეყო თავი ჰაერში ორ-სამ პალმასა, რომლებს

ჩრდილშიაც იყვენ აშენებული ინდუსების საყდრე-  
ბი. ზოგან მონადირეები წააწყდებოდენ ხოლმე კლდის  
ნახეთქებს, საცა გზა შედიოდა და ამ ღორღიან ად-  
გილებში ისეთი სიეწროე იყო, რომ კლდესა და  
კლდეს შუა სპილოები ძლიეს გავეტოდენ ხოლმე.  
ბოლოს მიადწიეს მათ ჯუნგლებთან (გაბარდულ ლერ-  
წმთან ადგილებთან), ეფუხებზე ნადირობას აპირებდენ.  
ამ ლერწმებს შორის არის ხოლმე პატარა მინდ-  
რები, სადაც ბუნაგობენ დიდ-დიდი მხეცები.  
ჯუნგლებში მონადირეები ნელ-ნელა მიდიოდენ  
წინ, თანაც გარშემო იყურებოდენ, რომ ეფუხი უე-  
ცრად არ გამოეარდნილიყო. იმათ წინ ხედ-  
ბოდათ ახალი დამტყრული შტოები,—და ეს მათ  
არწმუნებდა, რომ მტერი ახლო იყო. უცებ სპილოე-  
ბი შეჩერდენ, დაიწყეს ხორთუმების ქნევა და საძა-  
გელი ყვირილი. მონადირეები მიაშტერდენ ლერწ-  
მებს, მტრის დასანაჯავად, მაგრამ ტროპიკული მზე  
თვალებს უზნელებდათ და ევრაფერს არჩევდენ, ბო-  
ლოს ოფარიკმა შენიშნა, რომ ერთ ადგილს ტო-  
ტები ნელა ირხეოდა; ის ყურადღებით მიაჩერდა ამ



აღდგოს და დაინახა ვეებერთელა ვეფხი, რომელიც

შეგლს ჰგლეჯდა...

ვერ მოასწრო. პოლკოვნიკ უსათუოთ შეიქმნებოდა ვეფხის მსხვერპლი, რომ ღონე არ მოეკრიფა. მაგრამ მან უშიშრად მოაველო ხელი თოფს და ესროლა. ტყვიამ ვეფხს წინა მხარი დაუმტერია. დაჭრილობა მზეცმა საშინლათ დაიღრიალა და აპირებდა ოფარიკის სცემოდა, მაგრამ ჭკვიანმა სპილომ არ დააკალა: მან მოაგელო ხორბთუმი, ჩამოათრია ძირს და თავის უზარმაზარ ფეხებით და ეშვებით დაუწყუა თელა და გასრესა.

ამას შემდეგ მონადირეებმა განაგრეს გზა და მალე ოქს გარეულს სპილოს თავს წაადგენ. იმათ დაინახეს თუ არა კაცები, მაშინვე გაექანენ ტყის-

უტრად მზეტი წამოვარდა და ისე სწრაფად შეახტა ოფარიკის სპილოს, რომ ვერაინ დაუყირებაც კენ და შოგ შეემაღენ. ოფარიკმა და მსმა ამხანაგებმა დანანებით გაადვენეს თვალი, მაგრამ რას იქმოდენ, ტყეში მათი დენა არ მოხერხდებოდა. ისინი დაბრუნდნისეგ მარლასში.

გ - ლი.



ტ ა ს ო

(ქ ო თ ს წ ო ა ა).

II

**გ**სო მაშინ 16-ის წლისა იქნებოდა და ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა. იგი მეოთხე კლასში იყო და, თუ სწავლით არა, სიღამაზით მაინც განთქმული იყო და შიოფის გიმნაზიაში ტო-



ინდოკოში ვეფხე ნადირება

ლი არა ჰყავდა. ქალი ხომ ყველა კვლევითა, კომწიაა, უნდა, ყველას მოსწონდეს, ყველა შეფერფინედეს და ლამაზი 16-ის წლის ტასო, რა საკვირველია, კოწიწა იქნებოდა. უნდა გენახათ, როცა ტასო გიმნაზიის ფორამში, წიგნებით ხელში, კონტად მიდიოდა გიმნაზიისაკენ! მას სწამდა, რომ ყოველი გამეულელის თვალი უნებლიედ შედგებოდა, რომ დამტყპარყო მისი შეწინიერებით, და თვითონაც ყოველს ღონეს ხმარობდა, ყველას მოსწონებოდა, ყველა ალტაცებაში მოეყვანა. ეინც უნდა შეხედებოდა წინ, პატარა ბალოი, რომელიც ძლივს მითათხავდა რომელსამე სკოლაში, მზარეული, რომელიც, კალათით ხელში, ბაზრისაკენ მიეშურებოდა, მეეტლე, უსაქმოდ მდგარი რომელიმე ქუჩაზე, მელტუქე, მოხელე, ყველას ისე გადახედვდა ერთხელ და მეგრე ძირს დაუშვებდა თვალებს, თითქოს უთხროთ: „შემომხედ, რა შეწინიერი რამა ვარა“ და სუტის მოხიბლოს თავის სიღამაზითა. უნდა გენახათ, როგორ ნეტარებ-

და ტასო, როცა ეინმე, თუნდ ასის წლის ბებერიც, ყოფილიყო, შედგებოდა და დაუწყებდა მზერას-

ტასოს ბინა თბილისის ქუჩაზე ინგლისის ქუჩის ზემოდ იყო და კვი ძალი გზა ჰქონდა გიმნაზიამდის გასაღელი, მაგრამ გზაზე სრულიად არ ილაღებოდა, რადგან სულ იმაზე ჰეიქობდა, როგორ დაეჭირა თავი, რომ უფრო შეწინიერად ჩვეებოდა გამეულეებს. ერთხელ, როცა ტასო ინგლისის ქუჩას მიუახლოვდა, დაინახა თბილისის ქუჩისკენ მომავალი 13-14 წლის გიმნაზიელი. ტასომ უკლო სიარული. გიმნაზიელი დაუხმარა-და-მხარდა ტასოს და შეხვდა. ტასომაც გადახედა თავმომწონედ გიმნაზიელს და იგრძნო, რომ საბრალო ყმაწვილი მაშინვე მოიხიბლა მისი შეწინიერებით. ტასოსაც ეს უნდოდა. მან თვითონაც შეწინა, რომ გიმნაზიელი ძლიერ ლამაზი უნდა ყოფილიყო, თუმცე ეტყობოდა, რომ ერთობ ნახის ავტულებისა იყო და მასთან აალი ნაყდამყოფარიც. რამოდენმეჯერ კიდევ შექმნდეს ერთმანეთს ტასომ და გიმნაზიელმა საქლებოა გიმნაზიასთან

მისელმანის. აქ ერთხელ კიდევ გადახედა მედიდურად ტასომ ყმაწვილს და ამაყად შევიდა კიბეზე, სრულიად დარწმუნებული, რომ გაიმარჯვა და ერთი მამა-კაცთა წარმომადგენელი მაინც თავის ფეხთა მტრად აქცია...

მეორე დღეს ტასომ შორიდანვე შეამჩნია, რომ ინგლისისა და თბილისის ქუჩის შესართავთან, ყარაულივით, იდგა გუმბარდელი გიმნაზიელი და იცდიდა. „გამარჯობა შენი“, გაუღელა ტასოს გულში და ცბიერი ღმილით გადაჭყედა ყმაწვილს, როცა მიუახლოვდა; გადახედა ერთი და გაუჩქარა ფეხს, თითქოს სწყინსო, რომ ვიღაც ბაღლი, რომელსაც უკრ პირზე რძე არ შემოიღობა ჰმედას მის ცდას, და უკან დევსო. საბრალო ყმაწვილი დღონებული გაჰყვა უკან ტასოს და მერე აღარც-კი გაუბედას მისი მოწვევა.

მესამე დღეს იგივე განმეორდა, მეოთხე დღესაც, მესხეთისაც და ამწარად ყოველ დღე ამაყი ტასო მიდიოდა გიმნაზიისკენ თავის „პატარა პაყით“, როგორც უმახლდა თავის გულში საბრალო ყმაწვილს.

ღრო მიდიოდა. ტასო ჰკრძობდა, რომ იგი უყვარით. თავყანსა სტემენ და კმაყოფილი იყო. ტასომ იცოდა, რომ საბრალო ბავშს მისი გაცნობა, ერთი მისი ხმის გაცემა მთელს სიკოცხლეს ეჩრჩია, მაგრამ ისე როგორ დაამიკობდა 16-ის წლის ქალი თავს, რომ ვიღაც ბაღლს ხმას ვასცემდა? ის-კი არა მერე და მერე შეხედვასაც არ აღიარებდა ხოლომე უხედურს. მან იცოდა, რომ სამუდამოდ დაატყვევდა და მოწადე გახიდა საბრალო ბავში და მეტი რაღა უნდოდა? მისი ქალური თავმოყვარება დაკმაყოფილებული იყო და მეტს რაღას დაეძებდა? რატომ იქცეოდა ტასო ასე? იმიტომ ხომ არა, რომ უზნეო, უხასიათო იყო და სხვისი ტანჯვა ესთამოყენებოდა? არა, ტასო, ბუნებით ისეთი გულჩვილი იყო, რომ ვინმე ატირებული დენახა, უსათუოდ თვითონაც მოართავდა ტირილს, მაგრამ ქალი იყო და ქალურად იქცეოდა. იგი, თითქოს ინსტიტუტურად უხდიდა სამაგიეროს მამა-კაცთა წარმომადგენელს დედა-კაცთა დამოწმებისთვის და სტანჯავდა, აწვალბდა მას, სარგებლობდა რა იმ ძალით, რომელიც მისთვის მიეცინებინა განჯებას.

### III

ერთ დღესაც, როცა ტასო მივიდა ინგლისის ქუჩასთან, სადაც ჩვეულებრივად იდგა „პატარა პაყი“, უცერად სამიწლად მოიღრუბლა და „შხაჰუნა წვიმა წამოვიდა. ტასოს თხელი საზაფხულო კაბა ეცვა, რადგან, როცა შინიდან გამოვიდა, ცხელიოდა და აღარც ქოლგის წამოღება გახსენებია, გიმნაზიე-

ლიც საზაფხულო ბლუზის ამარა იყო, მაგრამ იმხელა საწვიმარი ქოლგა ეჭირა ხელში, რომ წვიმა ეწარფერს დააკლებდა. ტასო შედგა, შეხედა ცას და დინახა, თუ არა, რომ წვიმა არ ჰხუმრობდა, დააპირა უკანვე დაბრუნება. „ხომ სიცილს დამაყრის, ახლა რომ უკან დაებრუნდე,“ გაიფიქრა უცებ ტასომ: „წვიმამ როგორ უნდა შემაშინოს“ და გაუდგა გზას გიმნაზიისკენ. ყმაწვილი მიხედა, რაც აწუხებდა ტასოს და, ქოლგა ხომ არ გაუშლია ისე ედევნა უკან. წვიმამ თან-და-თან უმატა და რამოდენსავე წუთს შემდეგ კოკისპირულად დაასხა. ტასომ მოიხედა უკან და შეხედა ბავშს და მერე მის ქოლგას, რომელიც გაუშლულად ეჭირა ხელში, თითქოს ამას უცდიდაო, გიმნაზიელმა მიიბრინა ტასოსთან და გაუშვირა ქოლგა.

— უკაცრავად ვარ, მაგრამ საშინლად წვიმს და მიირთვით ჩემი ქოლგა! უთხრა ბავშმა ტასოს. ტასომ ხმა არ ამოიღო; ერთი გადახედა მრისხანედ არა მკებულ კეთილს მყაფელს და წავიდა წინ მობუზული.

— დღერთმანი ძლიერ დასველებით და წიგნებიც სრულიად გაგიფუტვებთ... წაიღეთ ქოლგა! განიყვარა ბავშმა ევდრებით.

— თქვენ თვითონ დატვირდებით, უთხრა ტასომ და არც-კი შეხედა ყმაწვილს.

— მე წიგნები ჩანთაში მიწყვიდა და არაფერი უჭირს... მაინც მე არ გავშლი ქოლგას, როცა თქვენ ასე იწუწუებით, მიუკო ყმაწვილმა. ტასო ხმას არ იღებდა და მიდიოდა; წვიმა სულ უმატებდა და უმატებდა.

— გვეოცებით პატარსნებას, თუ არ გამომართვით ქოლგას, აქვე ქუჩაში დევაგდებ! სთქვა ისევ ყმაწვილმა და შეჩერდა, თითქოს მართლა უნდა სისრულეში მოიყვანოს თავისი გადაწყვეტილებაო.

— კარგი, კარგი; რაკი ავრე გუსტოს, მომეცი! უთხრა ტასომ და გაუშვირა ხელი ბავშს. ბავშმა მაშინვე მიიბრინა და მისცა ქოლგა. ტასომ მოიმარჯვა ხელში ქოლგა და წავიდა.

ოჰ, რა ბედნიერი იყო მაშინ „პატარა პაყი“ მას თავი ამჟამად ძველი რაინდი ევონა, რომელიც სიკვილისაგან იხსნის თავის გულის მფლობელს, საწყალი თავიდან ფეხებამდე გაწუწუილი იყო და კიდევ უფრო იწუწუებოდა, მაგრამ აღარასფერი აღარ ახსოვდა, რაკი ჰხედავდა, რომ იმის ქოლგით სარგებლობს საყვარელი არსება.

ტასოს ერთხელაც აღარ მოუხედავს უკან მას შემდეგ. მან იცოდა, რომ საშინლად იწუწუებოდა საბრალო ყმაწვილი, მაგრამ რა ენადღებოდა? „გაიწუწოს, მისთვის ისიც ღილია, რომ ხმა გაეცი და“



მისი ქოლგა ხელში დავიკავე, ჰფიქრობდა ტასო და მიდიოდა წინ, მხოლოდ, როცა გიმნაზიის კიბეზე შევიდა და თავი დახურულში ამოჰყო, მოუბრუნდა ყმაწვილს და გაუწოდა ქოლგა.

— თქვენთან იქოს იქითობისთვის დავკირებდით! უთხრა გიმნაზიელმა.

— მანამდის გამოიდარებეს და თუ ისევ წვიმა იქნა, აქაც ვიშოვი, რაღაც ამპარტაენულის თემოწონებით უთხრა ტასომ ბავშს და შეხედა. ჯერ კინაღამ ღიმილი მოუვიდა ტასოს, როცა შეჭმედა ბავშვის ამოწუშავულ ტანსამოსს, მაგრამ როცა ბავშვმა თავაზიანად ჩამოართვა ქოლგა და წაიღია, ცოტა არ იყოს, სინანული იგრძნო. „საწყალი როგორ გაწუწულა!“ იფიქრა ტასომ: „მერე ახალი ნაყავდ-მყოფარი მინც არ იყოს?... ახლა ისევ რომ გახდეს ავად, ხომ ჩემი ბრალი იქნება? რა მიჭირდა, ისიც მომეპატრე და ორივეს გვესარგებლნა იმხელა ქოლ-

გით? ხომ ორივეს დავეფარავდე?“. აი, ამ ფიქრებით შეაღო ტასომ გიმნაზიის კარები და მთელ დღეს არ გამოსვლია თავიდან ეს და ამისთანა ფიქრები, „მადლობაც არ მითქვამს, მადლობაც... ოჸ რა სახიზღარი რამა ვარ! მან თითქმის თავი გაიწირა ჩემთვის და მე-კი ხმის გაცემასაც ვაჭირებდი... ხვალ, უშუკველად, გავსწორებ ჩემ შეცდომას: ბოდიშს მოვიხილი და გავეცნობი კიდევაც. მერე ჩვენ ერთად ვევლით ყოველთვის, როგორც მეგობრები და ამხანაგები!“ უკანასკნელმა ფიქრმა, ცოტა არ უყოს, დაუმშვიდა გული და მოუთმენლად ელოდა მეორე დღეს, როცა უნდა ენახა თავისი „პატარა პატი“, რომელიც მის თვალში ახლა ნამდვილი გმირი იყო, და გადაუხვლიდა სამაგიერო პატივისცემას.

დღევანდელი

(შეშდები იქნება)

კ რ ი ტ ი კ ა

ქართველი გლეხის შეილი

(„სწელა“—მოთხრობა ნ. შელანასა, 1891 წ.)

I

**ბ**ევნ მუდამ გულ-მხურვალედ მოწადინებული ვართ ვისაუბროთ და ვიკამათოთ იმ ფრიად საყურადღებო, დიდ-მნიშვნელოვან საგნებსა და საქმეებზე, რომელთა გამოარკვევასა და გადაწყვეტას, დიდხანია, რაც ცდილობს ბედ-კრული კაცობრიობის ცხოვრება და ფსიხილი აზრი, მაგრამ, წარმოადგენეთ, ბატონებო, რომ თვით ჩვენ, ქართველებს საკუთრად ხელის განძრევა არა თუ გვეზარება, გვეთავილებს კიდევ და ვერც ეახერხებთ სული ჩაუღკათ პატრონასა და საყეთლო მისწრაფებს. ჩვენ საქმით ერთხელაც არ დავიმტკიცებია ჩვენი კეთილი განზრახვლება, სურვილი და ერთგულება, თვალში ამოღებულ და გულში ამოჭრილი, საუნისა და მოქმედებისადმი. ყოველი ჭეშმარიტი, სამართლიანი სიტყვა და გაფრთხილება შეუპოვრად, მამაკურად და წმინდის გულით გამოთქმული, უსამაგრო გრძნობას ბადებს მხოლოდ ჩვენში, გულ-მკერდს გვიცემს, გამოუთქმელს შინსა და კანკალში გვაჯდებს და... საშინლად ვიწყველებით, ვიმტკირებთ. ჩვენ სრულიად დავძაბუნებულვართ, წელში გაწყვეტილვართ, დღეს „ჩვენთა ძეგლთა მამაკურის სულის სხუნავც კი აღარ შეგვჩივრია, და თვითველი ცალკე და ეველიანი ერთად ძაბუნად დავმოხმებივართ აწინდელს ჩვენს ერთს ფავლან-მდგომარეობას... ნუ გაიკვირებთ, მკითხველო, რომ ჩვენი საგანიც ყოველ დღიური ცხოვრებისა ეს გახლავთ: სიზარმაცე, ტყუილად ყოფნა, მარტო სიტყვით დაუსრულებელი წარამარა „ჩვენების თქმა, მკონარეობა და .

ქამა-სმა კარგად შესარგი“...

ღიალ, ქართველობა დიდკაცური, რანდული ხსიათისა და ყოფა-ქცევის ხალხი ბრძანდება. შრომა და ფიქრი ჩვენი საქმე არ არის, ჩვენ უფრო უზრუნველი და ტურფა ქვეყნის, ცხოვრების შეიღონი ვართ, გვიყვარს დღი, გაზიადებული ცერემონიებითა და მორიდებით საუბარი, შეწიერი აღერსით და სიყვარულით აღსავსე სიტყვებს პატარაობიდანვე შეგუეული ვართ და, მამასადამე, ვაღლებულია, მწერალმაც, იცოდეს, ვისთანაც აქვს საქმე, რომ ესმოდეს ტაქტი სიტყვა პასუხისა. და, რასაკვირველია, სწორედ ასეთი შეწიერი, ლამაზი და გაციალებული ფრაზებით სავსე ნამოქმედარი და აღწერილობანი საქორად და უდიდეს სამკაულად მივაჩნია ჩვენს ხელოვნურ, სიტყვა-კანკალ ნაწარმოებთა გვერცხვებისა და წარმატებისათვისც... და თუ, მართლაც, იქ, იმ ნაწარმოებში ეს ყოველდ უსაქიროესი საგანი არ იქნა წმინდად დატული, მაშინ იგი, ჩვენთვის ეტქვს გარემო და აშკარად არ არის ხელოვნური ნაწარმოები, არ არის მადლიანი წარმოდგენისა და ფარტახის ტკბილი და სანებარო ნაყოფი, ჩვენ მოგვწონს და ვაღიღებთ ისეთ ატორებს, რომელნიც საკუთარის თითის ლოკით ასარებობენ გრძნობა-გოვრებს და ვასაზრებებელი სიუჟითა და მხნეობით გვიყვვენ დრამა-მოთხრობათა აუარებელს რიტმს. ეგ დრამები და მოთხრობანი, რა თქმა უნდა, წარსულ თუ წინდელ ცხოვრების ხელოვნურად დახატვას სრულიად მოკლებული არიან... ვანსვენებული ა. მოწაუბარიძის \*) და ალაღ გამოჩევილ ისტორი-

\*) ამ რეკლამისკურთ, რომელსაც ვაგვიკითხე ჩვენ, ჯერ ა. მოწაუბარიძის ნაწერები უნდა გავეცნოთ, რადგანც „სწელაზე“ წინად პატიმ ამისანკრამანდ ისინი დასაქმდა, მაგრამ ჩვენს განსწავლავით გტოვებთ ჯერ-ჯერობით ად. ყაზიბეგის ნაწერებს განუსიღველად. ზ.ტ.



ული დრამების მცნობელნი ცრუ კლასიკური ყალიბის მოთხოვნების დაგვირად იქცეოდნენ და იქცვიან და მე თუ მკითხავთ, კარგადაც შეერებან: გარეზა-გაუუსნეწლსა და ბნძნური გემოვნების საზოგადოებას რაც მოსწონს, იმას იძლევიან; საზოგადოებაც, სამა-გიეროდ, პატივით ოხსენებს ასეთ ავტორებს, აღმე-რთებს და უფრადეთა წილის მიუჩენს სამართლისად. ქარ-თველი რომანისტები და დრამატურლები ორს მო-პირდაპირე სამტრედ ვადაკიდებულს ბნაწავ ჰყო-ფენ თავიანთ უებრო ნაწარმოებთა უსულო მომ-ქმედთ. ერთ მხარე ყოვლად პატიოსანი, გმირი და ზეკუთარი ქმნილება და ეს ქმნილებაც; ან ძველი დროის ქართველი უნდა იყოს, ან მთითვერთში, პირ-და-პირ დარიალის მიდამოებში გაზრდილი, შვილი იქა-ურობისა, სადაც „დიდებულის პოეტის“ თქმით:

„დიდებულს მოთას მყინვარსა  
ობრნი, ანწიენი ეგრ შეხებთან“ ..

მეორე მხარე უფსკრული ჯოჯოხეთის შვილია, სრულიად ბოროტი და ღიარბი. ამ ორს მხარეს შორის, უტყველად, სულ პაწია, უმწინშენლო მიხეზ-სავამო უნდა ატყდეს ბრძოლა, ხმალ-ხანჯლის ტრიალი და თოფების სროლა. თუ ამანაც აღარა უშეწავლა საქმეს, ავათმყუთე გმომომბოლოის პატ-რონი ავტორი სიღანმე უფეროდ გააჩენს ცეცხლის ალს და ბოროტების წარმომადგენელნი იქვე, ფენის გაუშნრველად დალევენ თავიანთ წაწმენდილს სულს და... საუკუნოდ დაილუქებიან. ამ სახით, ცრუ, ბე-შურს პატრიოტულს გრძნობას სრულიად ამაყო-ფილებს აწინდელი ჩვენი ცრუ კლასიკური წარმო-მადგენელნი მწერალნი და, ჩვენც ღვინით შეზარხო-შებული ადამიანებით, ან—აკაკის არ იყეს—ზო-გიერთ ცრუ პოეტებსახლოებით „ოხ და უხ: უხ და ოხ! მამულო! ომერთო ძლიერთა?!“ ცყვირით და ცხენე-შით საოცრად... და სასაციოდ!

და ჩვენ კი, ვითარცა რინდენისა და სახელო-ვანი მემორების შვილები, განუსაზღვრელს აღტაცე-ვაში მოგყევართ ამ თვალის მიმზიდველს ეფექტებს. ბრძოლა და სისხლის ღწრა, რა თქმა უნდა, ძლი-ერს შთაბეჭდილებას მოახწენს ხოლმე ჩვენზე და ცხადად კი არა, ძილშიაც ვეახსოვს გმირულის სუ-ლის ჩამდგმელი საყვარელი ავტორის სახელები...

ის ამავე, რომელიც გოგნება-და-გემოვნება განვითარებულს, განფაქიზებულს კაცს არაბთლს ზღაპრებს მოაგონებს, მჰარ-თემძხვ წამოწოლისოს უსაქმო ყმაწვილ ქალბატონსა და ევა-ბატონს ნამ-დღელი სელოდურთი ნაწარმოები ჰგონია და ჩვენებუ-რის „მწერალნიც“ ამ კატეგორიის ქალ-ვაჟთა ფენის ხმას აჰყოფს. საკუთარი თითის მლოკელნი მწე-რალნი მტკიცედ დარწმუნებულან, რომ თუ ადამიან-ის რაიმე საქმეში გულ-კეთილი და პატიოსანია, აუცილებლად, იგი ყოველთვის და ყოველგან, დრო-ყამისა და გარემოების მიუხედელოდ, მუდამ კეთილ-შობილი და ყოვლად უნაკლებოა. საკუთარი თი-თის მლოკელთა გარდა, ყველამ იცის, რომ ადამი-ანის გარემოება თუ მთლად ბურთიანთ არ ათამა-შებს, ღილა-ზედამქმედება და გაღენა ხომ აქვს მას და აქვს. მავლითად, თუ კაცი სიმართლისთვის და

პატიოსანი სიტყვის თქმისთვისუნდა უტყველად ჩამო-ხრით და მთელს მის სიკოცხლშიაც სულ ამას ეგმუ-ქრებოდნოთ, განა ვასაკვირვლია, რომ იქ კაცმა სიმართ-ლის უმტყუნოს, გატყდეს და გადაუხვიოს თავისი ცხოვ-რების საფეხლი ვნა? მაკან ამასაც თავი დაეანებოთ. განა წარმოსადგენია ისეთი სრული, უნაკლებო, ანეგლოზი კაცი, რომლის ცხოვრებანსა და მო-ქმედებანი რაიმე ნაკლი, რაიმე შეცდომა ეგრ ენაპოვო? ჩვენი წითისთაველი, დადამიწხვ ცხოვრება, ცოცხალი ადამიანი და უსკოდველი განა წარმოსადგენია?! ჩვენ უსკოდველი მარტო ერთიღა რომის პაპა ვიცით! ერთი სიტყვით, უზრუნველობა, უდარდლობა, საკუთარი გრძობა-გონების უსუსტობამა შეაჩვია მწერალიც და მკითხველიც ლატრატურის ყოველ-გვარ უმსგე-ვისობას, შეაყვარა თვალის წარმტაკი სცენისა და ცხოვრების გარეგანი სახენი, მიმართულობანი და ეფექ-ტები, და იმათი სულის მოთხოვნილებად გადააქცია ცრუკლასიკური და სენტიმენტალური იდეალიზა-ცია, გრძობა-გონების უნდადაცო ყილი. ადამიანის ბუნებისა და სულის ვითარება და სახე, რეალურად არსებულის ცხოვრების გამოხატვა, ხალხისა, საზო-გადოებისა და ინტელიგენციის სხვახეა და ფეკრთა დასურათება კი შეარყეს! და აზმოეთებს ჩვენს და-წყნარებულსა და „სიამით სასვენ“ ყოფას და არც გვინდა, რასაკვირველია, იმათი ხილვა და გაგო-ნება...

(შეაღვი აქნება)

ხომილველი

წინაქტორ. გამომცემელი ან. თ.—წერეთლისა.

# ბანხხაღება ქეჟოლი

№ II

დიბეკდა და ურიგდება ხელის-მომწერლებს

დაზღვევი საზოგადოება

## ი ა ტ ო რ ი (ღუხა)

„უმაღლესად დამტკიცებულე 1872 წელს, რომელს-საც ძირითადი თანხა 2,500,000 მანეთი აქვს, გო-რდა მთლიანს ფულისა, ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიღება დაზღვევა სიცოცხლის განსაჯთრე-ბითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მო-ნაწილობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

მიღება ყოველწინარი მიმართვისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან, აგრეთვე ზღვი-მდინარით და ხმელეთით წასალ-წამოსაღების საქნა, ლის დაზღვევა ცეცხლისაგან. წესები, პირობები წე-რილობითი და სტყვერი მოლაპარაკება განწხა-რება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგე-ობაში, რომელიც დადგენილა კეკელიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალაურბენლის სა-ხლში, თუ არა თვით საზოგადოების ავტორის ალუ-ქსანდრე პეტრეს ძის ზარეივისაგან, რომელიც დაგ-ველიამინოვის ქუჩაზე № 2.